



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოდახილი

მოდახილი, 1. სამხმნიანი სიმღერის პირველი (ზედა) ხმის სახელწოდება. 2. მომღერალთა გუნდში ძირითადად მეორე, ხოლო მგალობელთა გუნდში შუა ხმა. ქართ. ხალხ. სამხმნიანი სიმღერის ერთ-ერთი ზედა (მაღალი) ხმა, რ-იც მთქმელს მოსძახის: „შოთა მღერს, მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება“ (დ. გურამიშვილი). **მ**. შეიძლება იყოს როგორც მეორე, ისე პირველი ხმა (იმის მიხედვით, თუ რომელია მთქმელი). საგუნდო სიმღერაში **მ**. მომღერალს, მთქმელს ეწოდება. ხშირად **მ**-ს წამყვანი როლი აკისრია და მთელ სიმღერას ასრულებს, ხოლო გუნდი მისამღერს ან დასკვნით ფრაზას იმეორებს. **მ**-ს ზოგჯერ საშუალო ხმასაც უწოდებენ. მეორე ხმას სამხმნიან გუნდშიც და ექვსხმნიანშიც მოძახილი, ანუ თქმა ერქვა და ჰქვია ახლაც (ივ. ჯავახიშვილი).

ლიტ.: არაყიშვილი დ., ქართული მუსიკა, ქუთ., 1925; ჯავახიშვილი ივ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1990.
